ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02/21

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის კონკურსი N659

ქ. თბილისი **8 თებერვალი 2013 წელი**

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
შპს „ოპტიმუსი“
წარმოდგენილი დირექტორის - **გაიოზ ჭანკვეტაძის** სახით
იურიდიული მის: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N1
ფაქტიური მის: ქ. თბილისი, იპ. ხვიჩიას ქ. N31/2
ტელ (ოფისი): 032 223 12 95; მობილური: 595 90 22 25;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404420998
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“;
ბანკის კოდი: TBCBGE22;
IBAN: GE57TB7697236080100001
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით კონკურსი N659**, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება დანართში მოცემული ტექნიკური პირობების გათვალისწინებით შემდეგ თანხაზე: <u>51 000.00 ლარი (ორმოცდათერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი)</u>, (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.3 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- <u>**საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვა**</u>
- **CPV კოდი: 71300000 - საინჟინრო მომსახურებები;**

2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების აღწერილობა მოცემულია **დანართში N1**, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. **ფასები და ანგარიშსწორების პირობები**

3.1 შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს - **51 000.00 ლარს (ორმოცდათერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი).**

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

3.3 დაფინანსების წყარო: **2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

3.4 ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროექტო-სახართაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით;

3.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულის მომსახურების ღირებულების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.6 მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, გამოყენებული იქნება წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 12%-ს ოდენობით, იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენის საფუძველზე.

3.7 ფასები უცვლელია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

4. **მიწოდების პირობები და ვადები**:

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდათი) კალენდარული დღის** განმავლობაში წარმოადგინოს სრულყოფილი პროექტი (ელექტრონული ვერსია ArchiCAD-ის ან AutoCAD-ის პროგრამაში და პროექტის ყველა შემადგენელი ფურცელი PDF ფაილის სახით) შემადგენლობით:

4.2 კონკურსში გამარჯვებული მონაწილის მიერ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს **დანართში N1** მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

- არქიტექტურული ნაწილი (მუშა პროექტი);
- ეზოს და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, პარკინგი და გამწვანება, გამშვები პუნქტის მოწყობა;
- ეზოს განათებისა და სარწყავი სისტემის სქემა;
- კონსტრუქციული ნაწილი;
- ტექნოლოგიური ნაწილი;
- შიდა წყალმომარაგება – კანალიზაცია;
- გარე კომუნიკაციები;
- შიდა ელ.მომარაგება განათება;
- სუსტი დენები;
- სასერვერო ოთახის მოწყობა;
- საიარაღო, საიდუმლო და სათვალთვალო ოთახების მოწყობა;
- ვენტილაცია, კონდენცირება;
- გათბობა (გათვალისწინებული უნდა იქნეს ეზოს ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში საქვაბის ან/და დიზელ-გენერატორის განთავსება);
- შენობის ფასადური ნაწილის განათების დიზაინი და სქემა;
- ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა;
- ლიფტის მეურნეობა, დამატებითი ერთი ლიფტის მოწყობა, კონსტრუქციული ნაწილი;
- მშენებლობის ორგანიზების პროექტი, მშენებლობის გრაფიკი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- სადემონტაჟო სამუშაოების დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა.

4.3 სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს - **3 700 000,00 ლარს (სამი მილიონ შვიდასი ათასი ლარი და 00 თეთრი).**

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია, სრულყოფილი პროექტის წარმოდგენის შემდეგ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების საექსპერტო შემოწმება, წინასწარ შერჩეულ და შემწყიდველთან შეთანხმებულ დამოუკედებლ ექსპერტთან. აღნისნულის შესახებ ინფორმაცია მითითებული იქნება შეთანხმებაში, რომელიც გაფორმდება ხელშეკრულების დამატების სახით.

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის რეალიზების პერიოდში განახორციელოს მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ზედამხედველობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები და დამატებები საპროექტო დოკუმენტაციაში.

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და დამოუკიდებელი ექსპერტის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

5.2 მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირები არიან **სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.**

6. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

6.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან მონიტორინგი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6.3 იმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

6.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

6.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს **სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია.**

7. **ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. **უფლებების გადაცემა**

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

9. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო დამრღვევი მხარე ვალდებულია განახორციელოს პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

10.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.1.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

10.2.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.2.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

10.2.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების ენა და შეტყობინება

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

13.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან";

13.3 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელ. ფოსტის სახით, შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების გაგზავნიდან მე-3 დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დგება.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს <u>2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.</u>

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ოპტიმუსი“
გრიგოლ გიორგაძე	გაიოზ ჭანკვეტაძე

<u>**დანართი N1**</u>

ტექნიკური დავალება

შენობის აღწერილობა:

- პროექტირება განხორციელდეს სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ცენტრის დასკვნის გათვალისწინებით (N13-83 29.04.2011წ.) შენობის არსებული მზიდი კონსტრუქციების გამოყენებით.
- შენობის ბოლო მე-7 სართულზე უნდა მოხდეს მე-8 სართულის დაშენება ე.წ. მსუბუქი კონსტრუქციით.
- ლიფტის მეურნეობა, დამატებითი ერთი ლიფტის მოწყობა, კონსტრუქციული ნაწილი;
- შენობის არქიტექტურული გარე სახის ფორმირებისათვის საპროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული შენობის ცენტრალური შესასვლელის მხრიდან, ქალაქის კუთვნილ ტერიტორიასთან მიმართებაში, მსუბუქი კონსტრუქციებით შესასვლელის მოწყობა.
- შენობის სახარჯთაღრიცხვო ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს - **3 700 000,00 ლარს (სამი მილიონ შვიდასი ათასი ლარი და 00 თეთრი)**.
- საჭიროების შემთხვევაში, კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს სხვადასხვა სახის ნებართვების აღება ადმინისტრაციული ორგანოებიდან.

<u>**შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:**</u>

1. მიწის ნაკვეთის საკადასტრო რუქა;
2. ტოპოგრაფიული რუქა;
3. დასკვნა არსებული შენობის სეისმომედეგობაზე;
4. სქემატური გეგმარებითი დავალება;
5. შიდა გეგმარების გარეშე აზომვითი გეგმების ნახაზი სართულების მიხედვთ (მ1:200).

შენიშვნა: *შენობის ფუნქციონალური დანიშნულების და სამსახურების განთავსების სპეციფიკიდან გამომდინარე, სქემატური გეგმარებითი დავალება წარმოადგენს საორიენტაციო (სავარაუდო) სქემას.*

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	**შპს „ოპტიმუსი“**
გრიგოლ გიორგაძე	გაიოზ ჭანკვეტაძე